LABOR MARKET AND DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA
შრომის ბაზარი და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში

Nanuli Kokashvili
Doctor of Economics, Associate Professor of Gori State Teaching University
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995551332675, nanulikokashvili@gmail.com
https://orcid.org/0000-0003-3036-609X

Abstract. The article discusses labor market development trends in Georgia, statistical picture of employment and unemployment. Unemployment is the most acute socio-economic problem in Georgia, which is confirmed by various surveys conducted in the country. Unemployment is high in both urban and rural areas, however According to official statistics, its level in the country, according to the latest data, is slightly lower, but it is still at 12.3%.

Employment and unemployment levels are analyzed in the regional context, trends in urban and rural areas are given, indicating the reasons for the change. Unemployment growth rates are characterized by both regional and gender-age gaps and factors influencing its growth are identified. Ways to reduce unemployment are outlined and a statistical picture of the expected trends is outlined.

Key words: Employment, labor market, Unemployment, The self-employed.

ნანული ქოქაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400, საქართველო
+995551332675 nanulikokashvili@gmail.com
https://orcid.org/0000-0003-3036-609X

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია საქართველოში შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციები, დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკური სურათი. საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რომელსაც ადასტურებს ქვეყანაში ჩატარებული სხვადასხვა გამოკვლევა. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, თუმცა, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მისი დონე ქვეყანაში ბოლო მონაცემებით მართალია მცირედ, მაგრამ მაინც შემცირდა და ის 12,3 % -ის დონეზეა.

გაანალიზებულია დასაქმების და უმუშევრობის დონეები რეგიონალური ჭრილში, მოცემულია ქალაქად და სოფლად მის მაჩვენებლთა სისტემის ცვლილების ტენდენციები გამომწვევი მიზეზების ჩვენებით. დახასიათებულია უმუშევრობის ზრდის მაჩვენებლები, როგორც რეგიონულ, ასევე სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილით და გამოვლენილია მის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები. დასახულია უმუშევრობის შემცირების გზები და გამოკვეთილია მოსალოდნელი ტენდენციების სტატისტიკური სურათი.

საძიებო სიტყვები: დასაქმება, შრომის ბაზარი, უმუშევრობა, თვითდასაქმებულები.

შესავალი. შრომის ბაზარი და მისი განვითარების ტენდენციები ქვეყნის საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა ცვალებადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მასში როგორც ეკონომიკის განვითარების სარკეში ნათლად აისახება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ცვალებადობის რეალური სურათი. ამიტომ შესაბამისი განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა საფუძველია სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკისა და საბაზრო ურთიერთობათა მენეჯერული მართვის ღონისძიებათა შესამუშავებლად.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ანალიზი და სინთეზი.

შედეგები: შრომის ბაზრის მშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შინამეურნეობათა გამოკვლევები, რომელიც იძლევა სტატისტიკურ ინფორმაციას სამუშაო ძალის რიცხოვნობის და შემადგენლობის, ეკონომიკური სტატუსის დასაქმების და უმუშევრობის შესახებ.

შრომის ბაზარს პირველ რიგში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (დასაქმებულები და უმუშევრები) რიცხოვნობა და შემადგენლობა განსაზღვრავს. სწორედ აქტიური მოსახლეობა სთავაზობს შრომის ბაზარს თავის სამუშაო ძალას. ხოლო მოსახლეობის აქტიური ნაწილი (16 წელზე უმცროსი ასაკის პირები, მოსწავლეები, სტუდენტები, პენსიონერები, კონტიგენტი, რომელსაც გადაეწურათ სამუშაოს მიღების იმედი და აქტიურად აღარ ეძებენ მას, პირები, რომლებსაც გაჩნიათ შემოსავლის წყარო და არ აქვთ მუშაობის სურვილი და სხვა.) მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს შრომის ბაზარის განვითარების ტენდენციებზე და კანონზომიერებებზე.

აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის ფორმირება ხდება მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი, პროფესიონალური და სხვა ნიშნების მიხედვით ჩამოყალიბებული სტრუქტურის, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის და სხვა ფაქტორების ზეგავლენით.

კვლევის მიმოხილვა: საქართველოში შრომის ბაზარი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში დამკვიდრდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. როგორც რაოდენობრივად, ასევე პროცენტულადაც მთლიანად დასაქმებულებში. 2020 წლის მდგომარეობით დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო თვითდასაქმებულია 32,7 პროცენტი.

საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რომელიც მსოფლიო შრომის ორგანიზაციის კანონმდებლობას და წესებს ეყრდნობა, თვითდასაქმებულ ადამიანებსაც დასაქმებულად მიიჩნევს. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა უმრავლესობა სტატისტიკაში თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა გამიჯვნის მომხრეა. ეს მეთოდოლოგია ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული, თუმცა არიან ქვეყნები, რომლებიც ცალკე ითვლიან თვითდასაქმებულებს და დასაქმებულებს. ჩვენი აზრით, სწორი იქნება თუ ჩვენი ქვეყანა გამიჯნავს თვითდასქმებულთა და სახელმწიფო ან სხვა კერძო სტრუქტურეში მომუშავეებს.

საინტერესო ტენდენციით ხასიათდება საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების განვითარება.

დასაქმების და უმუშევრობის დონე საქართველოში 2016-2020წ

	2016	2017	2018	2019	2020
საქართველოს მოსახლეობა მლნ.	3728,6	3726,4	3729,6	3 723.5	3 716.9
სამუშაო ძალა	1653	1641,4	1605,2	1572,8	1523,7
დასაქმებული, ათასი კაცი	1294,35	1286,9	1296,2	1295,9	1241,8
უმუშევარი, ათასი კაცი	359,2	354,5	309,0	276,9	281,9
უმუშევრობის დონე, %	21,7	21,6	19,2	17,6	18,5

უკანასკნელი ხუთი წლის მონაკვეთში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, რომელიც სთავაზობს შრომის ბაზარს თავის სამუშაო ძალას გამოსაყენებლად (დასაქმებულები და უმუშევრები) 2016 წელს მთელი მოსახლეობის 44,35 %-ს, ხოლო 2020 წელს 40,39 %-ს შეადგენდა. ანუ 3,96%-ით დაიკლო. რაც უარყოფითი მაჩვენებელია. 2016 წელს დასაქმებული იყო 78,3 % 2020 წელს კი 81,49% შესაბამისად გაიზარდა ამ პერიოდში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილი 3,2%-ით.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია. უმუშევრობა არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც ახასიათებს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც ნებით ან იძულებით მოკლებულნი არიან მუშაობის შესაძლებლობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. უმუშევრობა აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. უმუშევრობის ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის აღსანიშნავია: მატერიალური დოვლათის დიდძალი დანაკარგები, შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, ინტენსიური გარე შრომითი მიგრაცია, ინფლაციის ზრდა, დემოგრაფიული ვითარების გამწვავება, მუშაკთა დეკვალიფიკაცია, ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა.

მაინც რა განაპირობებს უმუშევრობას საქართველოში და როგორია მისი ტენდენციები? პირველ რიგში, ალბათ ის, რომ არ არსებობს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო ადგილები, აქედან გამომდინარე შეზღუდულია მოთხოვნა სამუშაო ძალაზე; ხშირ შემთხვევაში უმუშევრობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინება შრომის დაბალი ანაზღაურება და პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი; შეინიშნება სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილურობა; სამწუხაროდ მაღალია სამუშაოს მაძიებელთა პასიურობის ხარისხი, გარკვეული დროის გასვლის შემდეგი იზრდება სამსახურის შოვნის იმედგაცრუების მოლოდინები და სხვა.

ბუნებრივია, უმუშევრობის ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გარკვეული ნაწილი ობიექტური, ნაწილი კი სუბიექტური ხასიათისაა, მაგრამ მათი გავლენის შედეგი ერთია: საქართველოში სამსახურის შოვნა რთულია, ხოლო დასაქმებულთა დიდი ნაწილისათვის მიღებული შემოსავლები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენისათვის, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ამწვავებს სოციალურ პრობლემებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2018-2020 წლებში კვარტალების მიხედვით.

უმუშევრობის დონე საქართველოში(%) დიაგრამა1



2020 წლის II კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.3 პროცენტი შეადგინა ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით 2018-2020 წლებში კვარტლების მიხედვით.

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით (%)

დიაგრამა 2



უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2020 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია როგორც ქალებში ისე კაცებში, შესაბამისად 1.8 და 0.1 პროცენტული პუნქტით.

შევეხოთ დასაქმების გენდერულ სტატისტიკას საქართველოში. ფაქტია, უფრო მეტი დასაქმებული მამაკაცია, ვიდრე ქალი. თუმცა, ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 42.0% და 21.8%).

ზოგადად, უმუშევრობის დონის ოფიციალური სტატისტიკის მაჩვენებლების დინამიკის ტენდენცია კლებადია, მაგრამ გენდერულ ჭრილში მაჩვენებლების ცვლილების ტემპები განსხვავებულია. თუ 2019 წელს 2018 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე ქალებისათვის შემცირდა 1.4 პროცენტული პუნქტით, (9,6-11=-1,4) მამაკაცებისათვის კი 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა(12,0-13,6=-1,4) 2020 წელის II კვარტალში მამაკაცების უმუშევრობის დონე 12,7% იყო, ქალებისათვის ის 11,8%. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით მამაკაცების უმუშევრობის დონე გაიზარდა 0,7-%ით, (12,7-12=0,7), ხოლო ქალებისათვის 2,2%-ით (11,8-9,6=2,2)

უმუშევრობის დონე სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით გაცილებით დაბალია. 2020 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში გაზრდილია 2.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში შემცირებულია 0.3 პროცენტული პუნქტით.

აქტიურობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2020 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 54.8 პროცენტს, ხოლო კაცებში 74.1 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აქტიურობის დონე ქალებში შემცირებულია 0.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში გაზრდილია 0.6 პროცენტული პუნქტით.

2020 წლის II კვარტალში დასაქმების დონე ქალებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო კაცებში გაზრდილია 0.4.

იმისათვის, რათა დავსახოთ უმუშევრობის გადაჭრის რეალური გზები, პირველ რიგში, აუცილებელია განვიხილოთ მისი გამომწვევი მიზეზები. უშუალოდ მიზეზების გარკვევის შემდეგ შესაძლებელი იქნება სწორი სტრატეგიის შერჩევა აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად. შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებებია: დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი, მოქმედების შეზღუდული არეალი, ნაკლები ელასტიკურობა, სამუშაო ძალის დაბალი მობილობა, დაბალი ანაზღაურება და ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე, რაც თავისთავად აისახება უმუშევრობის გამომწვევ ძირითად მიზეზებში.

შრომის ბაზრის ანალიზისას, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ერთ-ერთ მთავარ დეტერმინანტზე, რასაც შრომის ანაზღაურება წარმოადგენს. დასაქმების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ეკონომიკური სექტორების მიხედვით ხელფასებს შორის განსხვავება წარმოადგენს. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო წლებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის მკვეთრი ზრდა, რომელმაც 2015 წელს 900.4 ლარი, ხოლო 2020 წლის ბოლოს კი 1227.3 ლარი შეადგინა.

2020 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხელფასების ზრდა შეინიშნებოდა თითქმის ყველა სექტორში, - ამის შესახებ საქსტატის მიერ 2020 წლის I კვარტლში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შედარებით მაღალი დაფიქსირდა საქმიანობის შემდეგი სახეების მიხედვით:

- საფინანსო და სადაზღვევო სფეროში – 2 596.4 ლარი (წლიური ზრდა 37.1%);
- ინფორმაცია და კომუნიკაცია – 1 887.9 ლარი (წლიური ზრდა 7.8%);
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – 1 794.8 ლარი (წლიური ზრდა -0.2%);
- მშენებლობა – 1 703.0 ლარი (წლიური ზრდა 9.5%);

რაც შეეხება ამავე პერიოდში ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 75.2 ლარით გაიზარდა და 1 227 ლარი შეადგინა. ბიზნეს სექტორში საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მაღალი ხელფასი პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებისა (2 046.4 ლარი, წლიური ზრდა -0.5%) და ინფორმაციის და კომუნიკაციის დარგში (1 922.0 ლარი, წლიური ზრდა 8.2%) ფიქსირდებოდა.

ამასთან, 2020 წლის I კვარტალში არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 168.1 ლარით გაიზარდა და 1 161.2 ლარი შეადგინა. ამ მხრივ შედარებით მაღალი ხელფასი საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობასა და სხვა სახის მომსახურების სფეროებში დასაქმებულებს ჰქონდათ.

გასული წლების მაგალითებზე საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალი იქნა გამოკვლეული. ყველაზე მაღალი მოთხოვნა ფინანსისტებზე და საკრედიტო ექსპერტებზეა, რაც 20.1%-ს აღწევს, ასევე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება გაყიდვების მენეჯერებზე, სადაც ეს მონაცემი 18.5%-ია. სხვა პროფესიებზე მოთხოვნა კი შემდეგნაირად გამოიყურება – ტექნიკური პერსონალი – 13.2%; ექიმი/სამედიცინო პერსონალი – 9.7%; დისტრიბუცია/ვაჭრობა – 8%; აიტისფეროს მენეჯერი – 7.4%; სხვადასხვა სფეროს მენეჯერი – 7.2%; მასწავლებელი ტრენერი კონსულტანტი – 6.4%; ტუროპერატორი – 3.5%; მარკეტოლოგი – 3.1%; იურისტი – 1.9%; ინჟინერი –1%.

დიაგრამა 3



დასაქმების ძირითადი წყარო საქართველოში კერძო სექტორია. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის მაღალი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

ქვეყანაში სექტორების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობა მკვეთრად არა-თანაბრადაა გადანაწილებული. სოფლის მეურნეობის სექტორში თავმოყრილია თვითდასაქმებულთა უდიდესი ნაწილი. ქვეყნის მთლიან დასაქმებაში მრეწველობის სექტორში დასაქმება შეადგენს 8%-ს, ხოლო მომსახურების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 40%-ს აჭარბებს. მომსახურების სექტორებს შორის, თავის მხრივ, გამოირჩევა ვაჭრობის (10%) და განათლების სექტორები (9%). რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დასაქმებულებს, დასაქმების ყველაზე მაღალი წილით ვაჭრობის (26%), მრეწველობის (18%) და მშენებლობის (11%) სექტორები გამოირჩევა. სოფლის მეურნეობის და უძრავი

ქონების სექტორებს ყველაზე დაბალი წილი უჭირავთ, რაც გამოწვეულია ამ სექტორებში თვითდასაქმების მაღალი დონით.

შრომის ბაზრის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მიგრაციის საკითხებზე. „საქსტატის“ მონაცემებით, 2020 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 74 264 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 29.3 პროცენტით ნაკლებია, ამავე პერიოდში, ემიგრანტების 86.2 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ.

საქართველოს შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები: დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი, ნაკლები ელასტიკურობა, სამუშაო ძალის დაბალი მობილობა, დაბალი ანაზღაურება და ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე, რაც თავისთავად აისახება უმუშევრობის გამომწვევ ძირითად მიზეზებში. საქართველოში შრომის ბაზრის განუვითარებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის წინსვლას და უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს: უმუშევრობის, სიღარიბის, არალეგალური მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების სახთ. ამიტომ, ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან მისი ელემენტების განვითარების მხარდაჭერის გზით, ასევე საჭიროებს სათანადო საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსურ ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას.

ჩამოთვლილი მიზეზების მეტ-ნაკლებად აღმოფხვრა უმუშევრობის დონესაც შეამცირებს და ქვეყნის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს. თუმცა, მხოლოდ ეს საკმარისი ვერ იქნება თუ საზოგადოებამ, დამსაქმებლებმა, სამუშაოს მაძიებლებმა, დასაქმებულებმა და არააქტიურმა მოსახლეობამაც არ გაითავისა აღნიშნული საკითხის აქტუალურობა.

გამოყენებული ლიტერატურა

abesadze, r. (2017). ek'onomik'uri ganvitareba da umushevroba. *ek'onomist'i.* t'. XIII, #2. (აბესაძე, რ. (2017). ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. *ეკონომისტი.* ტ. XIII, #2.)

gabidzashvili, b. (2008). *st'at'ist'ik'a ek'onomik'ashi, biznessa da menejment'shi.* tbilisi: gamomtsemloba „universali“. (გაბიძაშვილი, ბ. (2008). *სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.)

chit'aladze, k. (2014). umushevrobis st'at'ist'ik'uri analizi sakartveloshi. *tsu, saertashoriso sametsniero k'onperentsia: „globalizatsia da st'at'ist'ik'a", shromebis k'rebuli.* (ჩიტალაძე, ქ. (2014). უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში. *თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაცია და სტატისტიკა", შრომების კრებული.*)

khmaladze, m. (2015). *st'at'ist'ik'a ek'onomik'asa da biznesshi.* nats'ili meore. tbilisi. (ხმალაძე, მ. (2015). *სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში.* ნაწილი მეორე. თბილისი.)

www.civil.ge The Unemplo

www.geostat.ge

www.civil.ge